დამტკიცებულია:

გამგეობის სხდომის ოქმი #06

28.07. 2023 წელი

საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის (ბაფი) საკონსულტაციო საბჭოს

დებულება

1. ბაფის საკონსულტაციო საბჭო (შემდგომში - საბჭო) წარმოადგენს მუდმივმოქმედ ორგანოს. იგი იქმნება ბაფის წესდების შესაბამისად. საბჭო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს ბაფის წესდებით და წინამდებარე დებულებით.
2. საბჭოს ძირითადი ფუნქციაა ბაფის გამგეობის კონსულტაცია, დასკვნებისა და წინადადებების მომზადება, ასევე შეთანხმებული პოზიციის შემუშავება ბაფის გამგეობისათვის შემდეგი მიმართულებით:
   ა) საქმიანობის ჰარმონიზება ქვეყნის კანონმდებლობასთან;
   ბ) საქმიანობის შესაბამისობა საზოგადოებრივ ინტერესებთან;
   გ) შიდა მარეგულირებელი ნორმატიული დოკუმენტები;
   დ) საზედამხედველო ორგანოსთან თანამშრომლობის ძირითადი ორიენტირები;
   ე) გამგეობის წევრობის კანდიდატების საწესდებო მოთხოვნებთან შესაბამისობა;
   ვ) ბაფის განვითარების სხვა საკითხები და მიმართულებები.
3. საბჭო ბაფის გამგეობის კონსულტაციას ახორციელებს, დასკვნებსა და წინადადებებს ამზადებს გამგეობიდან წერილობით ფორმით მიღებულ საკითხებთან დაკავშირებით.
4. საბჭო შედგება ბაფის გამგეობის მიერ მოწვეული პირებისაგან. საბჭოს წევრების მოწვევა ხდება სამი წლის ვადით;
5. საბჭოს წევრები შეიძლება იყვნენ ბუღალტრული აღრიცხვის, აუდიტის, ფასიანი ქაღალდების, ეკონომიკის ან ბიზნესის სფეროს წარმომადგენლები, რომელთაც არა აქვთ შრომითი ურთიერთობა ბაფთან.
6. საბჭო შედგება მინიმუმ ორი წევრისაგან. საბჭოს წევრების რიცხოვნობა არ უნდა იყოს ხუთზე მეტი. არაა სავალდებულო საბჭოს წევრად მოწვეული პირი იყოს ბაფის წევრი.
7. საბჭოს წევრად მოწვეულ პირი კარგად უნდა ერკვეოდეს ბაფის მისიაში და უნდა ავლენდეს პროფესიისადმი ერთგულებას და პროფესიული ორგანიზაციის განვითარებისადმი ინტერესს.
8. საბჭოს წევრი უფლებამოსილია პირადი სურვილითა და მოსაზრებით გავიდეს საბჭოს შემადგენლობიდან. ასეთ შემთხვევაში წევრი ვალდებულია საკუთარი გადაწყვეტილების შესახებ მიმართოს ბაფის გამგეობას.
9. საბჭოს შემადგენლობას ამტკიცებს ბაფის გამგეობა.
10. საბჭოს წევრები საბჭოს შემადგენლობიდან ირჩევენ თავმჯდომარეს 3 წლის ვადით.

11. აუცილებლობის შემთხვევაში საბჭოს სხდომას შეიძლება ესწრებოდეს ბაფის გამგეობის ან/და კომიტეტების წევრები და მოწვეული პირები.
12. საბჭოს თავმჯდომარე:
    ა) ხელმძღვანელობს საბჭოს საქმიანობას და ორგანიზებას უწევს საბჭოზე დაკისრებული სამუშაოს შესრულებას;
    ბ) იღებს საბჭოს სხდომის ჩატარებაზე გადაწყვეტილებას; განსაზღვრავს სხდომის ჩატარების თარიღს, დროსა და ადგილს. აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას აწვდის საბჭოს წევრებს;
    გ) ამზადებს და საბჭოს წევრებს უგზავნის საბჭოს სხდომის მასალებს;
    დ) უძღვება საბჭოს სხდომას;
    ე) ამზადებს საბჭოს სხდომის ოქმს, ასევე საბჭოს საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა დოკუმენტ(ებ)ს;
    ვ) საბჭოს გადაწყვეტილებას (დასკვნა, წინადადებება, შეთანხმება) უგზავნის/აცნობს ბაფის გამგეობას;
    ზ) ახორციელებს სხვა ფუნქციებს საბჭოს ფარგლებში.
13. საბჭო თავის საქმიანობას ახორციელებს საზოგადოებრივ საწყისებზე.
14. საბჭოს სხდომა ტარდება აუცილებლობის შემთხვევაში, მაგრამ მინიმუმ წელიწადში ერთხელ მაინც.
15. საბჭოს სხდომის ჩატარების აუცილებლობას განაპირობებს გამგეობიდან საბჭოში წერილობით შემოსული საკითხის საბჭოს ფუნქციებთან შესაბამისობა.
16. საბჭოს თავმჯდომარე უფლებამოსილია გამგეობიდან გამოითხოვოს მასალები და ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია განსახილველ საკითხთან.
17. საბჭოს წევრებს საკითხის განხილვისას გააჩნიათ თანაბარი უფლება. საკითხის განხილვის დროს საბჭოს წევრებმა უნდა მიაღწიონ კონსენსუსს. განსხვავებული თვალსაზრისის წარმოშობისა და კონსენსუსის მიუღწევლობის შემთხვევაში საბჭოს გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე საბჭოს წევრთა ხმათა უმრავლესობით. ამასთან სხდომის ოქმში აუცილებლად გამჟღავნებული უნდა იყოს განსხვავებული პოზიციის შინაარსი, ამ პოზიციის მქონე წევრის არგუმენტების აღწერით.
18. საბჭოს სხდომის შედეგები ფორმდება სხდომის ოქმის სახით. საბჭოს გადაწყვეტილება ატარებს სარეკომენდაციო ხასიათს.
19. საბჭოს გადაწყვეტილება თავმჯდომარის ხელმოწერით ეგზავნება ბაფის გამგეობას სხდომის ჩატარებიდან 3 დღის ვადაში. საბჭოს სხდომის ოქმი ინახება ბაფის ადმინისტრაციაში.
20. საბჭოს სხდომა, როგორც წესი, ტარდება ბაფის ოფისში. საჭიროების შემთხვევაში საბჭოს სხდომა შესაძლებელია ჩატარდეს ვიდეო- ან ინტერნეტ-კონფერენციის სახით.
21. საბჭოს საქმიანობის შეწყვეტის გადაწყვეტილების მიღება ხდება ბაფის წესდების შესაბამისად.